ხელშეკრულება № 387
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. თბილისი 11 ივლისი 2016 წელი

ერთის მხრივ ა(ა)იპ პროფესიული კოლეჯი "იკაროსი" (შემდგომში – შემსყიდველი), დირექტორის რუსუდან ჩართოლანის სახით და მეორეს მხრივ შპს "პოლიგრაფისტი" (შემდგომში – მიმწოდებელი), მისი დირექტორის ირაკლი თეიდორაშვილის სახით, ეხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი და შესყიდვის ობიექტი

1.1 ხელშეკრულების საგანია საკუთარი შემოსავლები, ბეჭდვა და მასთან დაკავშირებული მომსახურებების (CPV კოდი: 79800000) სახელმწიფო შესყიდვა, წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით („სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" კანონის მე-3 მუხლის 1 პუნქტის "ს" ქვეპუნქტის შესაბამისად).

1.2 ხელშეკრულების ობიექტია: ა(ა)იპ პროფესიული კოლეჯი "იკაროსი"-ს კურსდამთავრებული სტუდენტებისათვის დიპლომების დაბეჭდვის მომსახურება (5 ცალი, ერთეული დიპლომი. ღირებულება 6 ლარი, სულ 30 ლარი) (CPV კოდი: 79810000)

2. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

2.1 შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ლარებში.

2.2 შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება შეადგენს 30 (ოცდაათი) ლარს.

2.3 ანგარიშსწორება მოხდება ფაქტიურად შესრულებული მომსახურების მიხედვით, მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ ხელმოწერილი მიღება-ჩაბარების აქტების საფუძველზე.

3. შესყიდვის ობიექტის ხარისხი

3.1 მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას, რომ გაწეული მომსახურების ხარისხი უპასუხებს ამ სფეროში არსებულ სტანდარტებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მოთხოვნებს.

3.2 შესყიდვის ობიექტის ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს ამ სფეროში არსებულ სტანდარტებს და ტექნიკურ ნორმებს.

4. შესყიდვის ობიექტის მომსახურების გაწევის ვადები.

4.1 მომსახურების გაწევის ვადაა: 2016 წლის 11 ივლისიდან 20 ივლისამდე

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი.

5.1 შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, შემსყიდველისა და მიმწოდებლის საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერით.

6. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები).

6.1 მომსახურების ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით. მომსახურების გაწევისა და ანგარიშსწორებისათვის საჭირო დოკუმენტაციის წარდგენიდან 2016 წელი 11 აგვისტომდე.

7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი.

7.1 შემსყიდველს უფლება აქვს:

-შეამოწმოს შესყიდვის ობიექტის ხარისხი.

-მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების ჯეროვანი, დროული და კეთილსინდისიერი შესრულება.

7.2 შემსყიდველი ვალდებულია:

-წერილობითი ფორმით გონიერულ ვადებში აცნობოს მიმწოდებელს მომსახურების გაწევის დროს აღმოჩენილი რაიმე წუნის შესახებ.

-დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები.

7.3 მიმწოდებელს უფლება აქვს:

-მოსთხოვოს შემსყიდველს გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

-მოითხოვოს შემსყიდველისაგან ხელშეკრულების სხვა პირობების დაცვა.

7.4 მიმწოდებელი ვალდებულია:

-დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

8. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

8.1 მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

8.2 თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ (დამატებითი ვადის განსაზღვრისათვის გამოიყენება წერილობითი ფორმა). თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება.

8.3 ხელშეკრულებიდან გასვლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.

8.4 ხელშეკრულებიდან გასვლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისი მუხლები.

9. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

9.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მხი დადების (გაფორმების) დღიდან და მოქმედებს 2016 წელი 11 სექტემბრამდე.

10. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

10.1 წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

11. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

11.1 ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

11.2 შეთანხმების მიუღწეველობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

12. ფორს-მაჟორი

12.1 მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძერა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე.

12.2 თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა სამი თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის მოთხოვნის უფლების გარეშე.

12.3 მხარე, რომელსაც შეექმნება ფორს-მაჟორი გარემოება, დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

13. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

13.1 შემსყიდველი უფლებამოსილია მომსახურების გაწევის პარალელურად მოახდინოს მომსახურების შემოწმება, რომლის მიზანია მისი შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.

13.2 შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს დაწუნებული მომსახურების ნაწილის და წუნდების მითითებით.

13.3 გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

13.4 ხელშეკრულების ინსპექტირებას და მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს: ლოჯისტიკი ლაშა ტაბალუა.

14. სხვა პირობები

14.1 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

14.2 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

14.3 წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, სამ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი პირი მიმწოდებელთან და ორი პირი შემსყიდველთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

14.4 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

15. მხარეთა მისამართები და რეკვიზიტები

შემსყიდველი:

ა(ა)იპ პროფესიული კოლეჯი "იკაროსი"
მისამართი : ქალაქი თბილისი გელოვანის **N 4**
"სახელმწიფო ხაზინა
კოდი : 32030121
საიდენტიფიკაციო კოდი: 211351071
ტელეფონი: **577 900 401**
ელ-ფოსტა: **info@icarus.ge**

დირექტორი: რ. ჩართოლანი _____

მიმწოდებელი:

შპს "პოლიგრაფისტი" მისამართი: ქ თბილისი
სურამის ქუჩა №13 ს.ს.
სს" ბანკი ქართუ " ბანკის კოდი: **CRTUGE22**
ა/ა **GE03CR0000000007193602**
საიდენტიფიკაციო კოდი: **202886261**
ტელეფონი: **2-95-00-97**;

დირექტორი: ი. თეოდორაშვილი_____

მიღება-ჩაბარების აქტი № 387

ქ. თბილისი 15 ივლისი 2016 წელი

ერთის მხრივ ა(ა)იპ პროფესიული კოლეჯი "იკაროსი" (შემდგომში-შემსყიდველი ს/კ 211 351 071) ლოჯისტიკი ლაშა ტაბაღუა სახით და მეორეს მხრივ შპს "პოლიგრაფისტი" (შემდგომში – მიმწოდებელი ს/კ 202 886 261), დირექტორის ირაკლი თევდორაშვილის სახით, წინამდებარე აქტით ვადასტურებთ, რომ მხარეთა შორის 2016 წლის 11 ივლისს გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ № 387 ხელშეკრულების თანახმად, მიმწოდებელმა გადასცა, ხოლო შემსყიდველმა ჩაიბარა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ დროს შემდეგი დასახელების საქონელი:

საქონლის დასახელება	რაოდენობა და განზომილების ერთეული	ერთეულის ფასი	მთლიანი ღირებულება
დიპლომი	5 ცალი	6 ლარი	30 ლარი

საერთო ღირებულებით 30 (ოცდაათი) ლარის.

შესყიდვის ობიექტის გადაცემასთან დაკავშირებით ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები და ვადები დაცულია.

შემსყიდველი: _____

მიმწოდებელი: _____